პრესრელიზი

GIG-ის შვილობილ კომპანია „სიპაუერსა“ და „ესკოს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა

GIG-ის შვილობილ კომპანია „სიპაუერსა და “ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს (ესკოს) შორის ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.დოკუმენტს ხელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ამბოკაძემ და შპს „სიპაუერ“-ის დირექტორმა გივი ჭაჭიამ მოაწერეს.

შპს „სიპაუერი“ უზრუნველყოფს ქალაქ გარდაბანში 150-300 (+/- 10%) მგვტ სიმძლავრის ნახშირის თბოსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რაც მოიცავს „ნახშირის თბოსადგურის“ მიერ ელექტროენერგიის წარმოებისათვის,(მათ შორის ყოველ საათობრივად 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვით მუშაობისას) მუდმივად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ქვანახშირის გამოყენების პირობას.

GIG-ის შვილობილი „სიპაუერის“ პროექტი, რომელიც გარდაბანში თბოსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს აქტიურ ფაზაშია.თბოსადგურის მშენებლობა შემოდგომაზე დაიწყო და ექსპლუატაციაში 2019 წლისთვის შევა.

22..03.2017

კომპანია ”ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

"Georgian Industrial Group" Ltd
Gazapkhuli str. 14, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding